ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3751668

ნომერი: AR1563690

თარიღი : 17.12.2017

გაცემის თარიღი : 25.12.2017

გაცნობის თარიღი : 25.12.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 11 , (ნაკვ. 03/100) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 5-7 / ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვის , N 38 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- პაატა ეზიეშვილი პ/ნ 35001007755
- რუსთავი გ.ლეონიძის ქ. კორ. 28 ბ. 31

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. "ისეკო" კოდი: 406027838

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

  რეკონსტრუქცია

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია საკ. კოდით # 01.19.34.003.154 მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა#7/1-ს რეკონსტრუქციის განხორციელების შესაძლებლობის თაობაზე.

საკითხის განხილვის შედეგად გაცნობებთ: წარმოდგენილი თანდართული დოკუმენტაციით ირკვევა, რომ ფასადების ცვლილებასთან ერთად ასევე იგეგმება არსებული შენობის ფუნქციის ცვლილებაც (I სართულზე მოწყობილი ავტოპარკის სარემონტო სახელოსნო - საწყობით, II სართულზე კი ადმინისტრაცია. ცვლილებით გათვალისწინებულია შენობის I სართულზე მუშათა გასახდელების (აბანოთი) და II სართულზე სასადილოს მოწყობა).

ასევე წარმოდგენილი არსებული შენობის კონსტრუქციული მდგრადობის დასკვნის მიხედვით ირკვევა,რომ არსებული შენობა ამორტიზირებულია , რომლის დასკვნით ნაწილში აღნიშნულია, რომ ფუნქციის ცვლილების გათვალისწინებით უნდა დამუშავდეს რეკონსტრუქციის პროექტი მისი კონსტრუქციული ელემენტების გამაგრების გათვალისწინებით;

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოები ვერ იქნება მოაზრებული I კლასის რეკონსტრუქციის სახეობად და არის ისეთი სახის ცვლილება რაც საჭიროებს მშენებლობის ნებართვის გაცემას.“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის24 მარტის #57 დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (გარდაგანსაზღვრული გამონაკლისებისა). ამათგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი წარმოება. მხოლოდ წინასტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის შემდგომ (Iსტადია), გასავლელი იქნება II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიები თქვენს შემთხვევაში ვინაიდან ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2010 წლის 10 ნოემბერს დადგენილი იქნა #1626 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, რომლის ბოლო ცვლილება 04.05.2017განხორციელდა №3238132 ბრძანებით , საჭიროა პირველ რიგში შეტანილი იქნას ცვლილება დამატების სახით #7/1-ს შენობის რეკონსტრუქცია გამაგრებისა და ფუნქციის ცვლილების თაობაზე სამსახურის 2010 წლის 10 ნოემბერს დადგენილ#1626 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში. შესაბამისი ცვლილების განსახორციელებლად საჭიროა მისამართზე www.tas.ge აირჩიოთ შემდეგი ნომენკლატურა „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები • მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება“.

ასევე გაცნობებთ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე–19 მუხლის მე–2 პუნქტის "შენობა-ნაგებობის კლასისადმი მიკუთვნება ხორციელდება ასაშენებელი ან სადემონტაჟო შენობა ნაგებობის პარამეტრების მიხედვით, რეკონსტრუქციისას, იმ შემთხვევაში, როდესაც შენობა-ნაგებობის კლასი იზრდება, კლასი განისაზღვრება შენობა-ნაგებობის საბოლოო (სამშენებლო დოკუმენტით გათვალისწინებული) პარამეტრების მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ რეკონსტრუქციისას შენობა-ნაგებობის კლასი მცირდება, მაშინ შენობა-ნაგებობის კლასისადმი მიკუთვნება ხორციელდება არსებული სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის პარამეტრების მიხედვით".

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.